

ბაიობა ტერმინისათვის ON THE MATTER OF TERM *BAIOBA*

რევაზ შეროზია

შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ზუგდიდი, საქართველო

Revaz Sherozia

Shota Meskhia State Teaching University
Zugdidi, Georgia

ABSTRACT

In the Kartvelian languages, two lexemes — **baioba** and **bzoba** — are found that signify the feast commemorating Christ's entry into Jerusalem. Both terms raise questions; clarification is required regarding

the connection between the feast and either of the terms, or what caused the establishment of the two distinct word forms in Megrelian and Svan (the first term), as well as in the common ecclesiastical domain (the second term). It is worth noting that the term **baioba** is preferred in some Gospel manuscripts and liturgical texts. Additionally, it is noteworthy that the Agapes of the Cross Monastery in Jerusalem use the term **baioba** rather than **bzoba**.

As early as the 11th-13th centuries, if not earlier, the term **baiaoba** appears to have had a conventional form, with **bzoba** not yet surpassing it. Otherwise, the copyist of the Agape, the translator, or the scribe of the Gospels would have written **bzoba** instead of **baioba**.

The feast's name, **baioba**, appears to have existed centuries before the term **bzoba** was coined. This fact determines the viability of the term in modern Megrelian and Svan. For comparison, one could cite the terms like **tanapa**, **p'ichvani**, which allegedly derived from sermons by Andrew the First-Called and Simon the Zealot (or Simon the Canaanite) and originated at least three centuries before the creation of the common ecclesiastical terms **agdgoma** (Easter) and **marhva** (fasting). This illustrates how **agdgoma** and **marhva** forms could not eliminate preexisting terms. A similar conclusion can be drawn regarding the relationship between the terms **baioba** and **bzoba**.

საკვანძო სიტყვები: ქართული რელიგიური ტერმინოლოგია, ქართველური ტერმინები: ბაიობა / ბზობა.

Keywords: Georgian religious terminology, Kartvelian terms: **baioba** / **bzoba**.

ქართველურ ენობრივ სივრცეში ქრისტეს იერუსალიმში შესვლის დღესასწაულს ორი ლექსმა აღნიშნავს – **ბაიობა** და **ბზობა**. ორივე ტერმინი კითხვებს აჩენს, – ასახსნელია, ან ერთს ან მეორეს რა კავშირი აქვს აღნიშნულ დღესასწაულთან. ან რამ გამოიწვია ამ ორი, განსხვავებული სიტყვა-ფორმის დამკვიდრება, – პირველისა მეგრულ-სვანურ მეტყველებაში, მეორისა – საერთო-საეკლესიო მიმოქცევაში. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სახარების ზოგ ხელნაწერსა და ლიტურგიკული ხასიათის ტექსტებში **ბაიობას** ეძლევა უპირატესობა. აქვე უნდა აღინიშნოს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში **ბზობის** ნაცვლად **ბაიობა** ტერმინის ხმარება, – „**ბაიობასა** დღესა...“, „კვირიაკესა **ბაიობისასა**...“ და ა.შ.

ელ. მეტრეველმა აღაპებში მოხსენიებული ცნობილი პირების მიხედვით ჩანაწერების საწყის დროდ XI-XII საუკუნეები დაასახელა, რაც სარწმუნო ჩანს. მაგალითად, აღაპი დადებულია თამარის მიერ დასჯილი ვარდან დადიანისთვის. ამის აღნიშვნა იმიტომ დამჭირდა, რომ XI-XIII საუკუნეებში და უფრო ადრეც, **ბაიობა** ტერმინი უკვე ტრადიციულ ფორმად გამოიყურება. როგორც ჩანს, **ბზობა** მას მეტოქეობას ჯერ კიდევ ვერ უწევს, თორემ აღაპის ჩამწერი ან სახარების მთარგმნელი თუ გადამწერი **ბაიობის** ნაცვლად **ბზობას** დაწერდა. კითხვა, თუ რატომ გვაქვს ერთი დღესასწაულის აღსანიშნად ორი სახელი, ჩემთვის რთული არ არის, – ქუთაისის ბიბლიოთეკის „წელისდეულის“ VI ტომში დაბეჭდილია სტატია: თანაფა, პიჩვანი, პიჯიმ მორსხინაფა, ქირსე ტერმინებთან დაკავშირებით (შეროზია 2014: 313). იქ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ჩამოყალიბებულია ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის ზეპირი ქადაგების მოხედვით და სულ ცოტა სამი საუკუნით უსწრებენ საერთო-საეკლესიო ტერმინების წარმოქმნას. ამიტომაც **აღდგომა**, **მარხვა**, **ხსნილი** ფორმებმა ვერ გადაფარეს ისინი. იგივე დასკვნა უნდა გაკეთდეს **ბაიობა** და **ბზობა** ტერმინების ურთიერთმიმართებაზეც.

მაგრამ, აქ მეორე კითხვა იჩენს თავს, – რატომ **ბაიობა** და **ბზობა**? თუ გავითვალისწინებთ ქრისტეს მოწაფეთა ქადაგების ენას, ცხადია, ის ებრაული იქნებოდა (ებრაელები ხომ ქრისტემდე ბევრად ადრე დასახლდნენ საქართველოში და მათი დახმარება აუცილებლად დასჭირდებოდათ მქადაგებლებს). ებრაულში კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი ძირები არ იძებნება. სავარაუდოა, რომ პირველად **თანაფას** მსგავსი ტერმინი ჩამოყალიბდა, ოღონდ ამჯერად გაზაფხულზე ველური მცენარის - ბაიას ყვავილობის დროს დაუკავშირდა (**ფანაფაც** ქრისტეს აღდგომის ნახვის დროს მიემართება). შდრ.: „ვარდის ფურცლობა“, „ბულობა“ (ბლობა), ვაზის ყვავილობა, ვაზის ყვავილობის დრო...

უცნაური წრე იკვრება, – ბერძნულში Baidos ფორმა „პალმის რტოს“ აღნიშნავს. არის გამოთქმა: კირიაკი ტონ ვაიონ „ბზობის კვირა“. მაგრამ თვითონ **ბზა** პიქსოს ფორმით არის წარმოდგენილი (ლათინურში: Buxsus colchica, ებრაულში: თეაშორ colchica). ამ მონაცემების მიხედვით სავარაუდოა, რომ **ბზობა** ტერმინი ქართველურ საერთო-საეკლესიო სივრცეში დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული ქრისტიანული სამყარო „დამრიგებლის“ როლს ასრულებდა.

ალ. მაყაშვილის ლექსიკონში (მაყაშვილი 1961: 14) ბზის ერთ-ერთ დიალექტურ სახელწოდებად მითითებულია „უფლის ხე“. შეიძლება გვეფიქრა, რომ ბზა ქრისტიანობამდეც მიიჩნეოდა რელიგიურ ხედ, რაც ბზობა ტერმინს უპირატესობას მიანიჭებდა ახალ რეალობაში.

შენიშვნა: საინტერესოდ გამოიყურება პროფ. ბელა მოსიას დაკვირვება, – ბზის ყვავილი ძალიან ჰგავს ბაიას, რაც **ბზობა** ფორმის წარმოქმნას ხელს შეუწყობდა.

ლუიზა ხაჭაპურიძის მოსაზრებით, **ბაიაობა** არ უნდა უკავშირდებოდეს ველურ ყვავილს. იგი აღნიშნავს: „დღესასწაულის სახელწოდებაში მოცემული ტერმინი **ბაია** არის არა ზემოთ აღნიშნული მცენარე, არამედ – რტო, ნეშო ფინიკისა, ანუ დანაკის კუდისა, იგივე პალმისა. ბერძნულად Baion ნიშნავს „ახალ რტოს“. თავად ჟამნში, აღმნიშნული დღესასწაულის საკითხავში წერია: „ბაია გადმოითარგმანების ვითარცა ჩუილი რტო დანაკის კუდისა“ (ხაჭაპურიძე 2010: 388). საკითხავია, რისთვის იყო საჭირო ამ განმარტების ჩართვა?

ჟამნის ამ ფრაზის გამჭვირვალობის მიუხედავად, **ბაიაობა** ტერმინის ბერძნულიდან მომდინარეობის საკითხი გადახედვას მოითხოვს, – 1. ქრისტეს იერუსალიმში შესვლის დღესასწაული ბერძნულში თუ უკვე აღინიშნებოდა Baidos სახელის მონაწილეობით და ეგევე სიტყვა ვისესხეთ **ბაიობის** სახით, როგორღა გაჩნდა **ბზობა** ტერმინი, როცა ჩვენი ეკლესიის ფორმირების საწყის ეტაპზე ბერძნების დიქტატი ჩანს, 2. როგორ და რატომ უნდა დარქმეოდა ველურ ყვავილს ბერძნული პალმის ტოტის სახელი?

როგორც არ უნდა გადაწყდეს **ბაია** სახელის საკითხი, მთავარი ისაა, რომ დღესასწაულის სახელი **ბაიობა**, როგორც ჩანს, რამდენიმე საუკუნით უსწრებს **ბზობა** ტერმინის ჩამოყალიბებას. ეს განაპირობებს ტერმინის სიცოცხლისუნარიანობას თანამედროვე მეგრულ და სვანურ მეტყველებებშიც.

დამოწმებული ლიტერატურა

მაყაშვილი 1961: მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961.

შეროზია 2014: შეროზია რ., ზოგი რელიგიური ტერმინისათვის, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI. ქუთაისი, 2014.

ხაჭაპურიძე 2010: ხაჭაპურიძე ლ., ბზობა-ბაიაობა. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, II. თბილისი, 2010.